The Right of the Child to be Heard in the Juvenile Justice Process

Elene Kavtuashvili

PhD Student at School of Law at University of Georgia
Affiliated Assistant at School of Law at Caucausus Internatonal University
Scientist at the Scientific Research Institute of Law at European Teaching University
Attorney specializing in criminal and juvenile justice

E-mail: kavtuashvili.elene@bk.ru

ABSTRACT

Proper and effective administration of justice remains the main task of the state at any stage of its development. Today, there is a significant increase in attention to one of the most sensitive parts of our society – minors. There is great interest in their developmental characteristics, behavioral characteristics, and interrogation techniques.

There is a special approach to juvenile delinquency around the world, according to which a juvenile should be considered a victim rather than a perpetrator. The main emphasis in international documents is on the need to develop special procedures. On January 1, 2016, the Juvenile Justice Code came into force, which fully complies with international standards at the level of principles.

The article "The right of a child to be heard in the juvenile justice process" – discusses the right of a juvenile to be heard and take into account his / her views at the maturity of his / her perception, the essence, importance and priority of the juvenile justice process in accordance with international standards. The article uses formal-logical and comparative methods, and the methodological basis of the research is international conventions.

KEYWORDS: Child, court, testimony

Email: info@heraldoflaw.com

*„არასრულწლოვნები არიან მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები
და ისინი უნდა იყვნენ ჩვეულებრივზე უფრო დაცულები
მართლმსაჯულების განხორციელებისას“**

შესავალი

ბავშვის მონაწილეობის უზრუნველყოფა სასამართლო პროცესში ბავშვის უფლებათა კონვენციის ერთ – ერთი სახელმძღვანელო პრინციპია, ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ბავშვები საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან საკუთარი თავის გამოხატვის და მოსაზრებების გამოთქმის უფლებით ყველა საკითხზე, რომელიც მათ ეხებათ. შესაბამისად, მათ უნდა მოუსმინონ და გაითვალისწინონ მათი მოსაზრებები, იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება ასაკს და სიმწიფის ხარისხს.

საერთაშორისო დოკუმენტებშიც ძირითადი აქცენტი სწორედ განსაკუთრებული პროცედურების შემუშავების აუცილებლობაზე კეთდება. ტერმინი – „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“ – გულისხმობს მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც ქმნის ბავშვის უფლებათა ეფექტური განხორციელების გარანტიას ბავშვის უფლებათა დაცვის პრინციპების, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების და საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით.[1] როდესაც საქმე ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და უფლებას, მოუსმინონ, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის განვითარებადი უნარები. ამასთან, ბავშვის მომწიფებასთან ერთად მის მოსაზრებებს მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ცალსახაა, რომ მართლმსაჯულება უნდა იყოს მისაწვდომი, ასაკთან შესაბამისი, სწრაფი, თანმიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული. იგი უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის უფლებების დაცვას სამართლიანი სასამართლო პროცესის, სასამართლო პროცესში მონაწილეობის და ინფორმირების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პატივისა და ღირსების პატივისცემას,[2] თუმცა ამ უფლების პრაქტიკაში განხორციელება მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

სასამართლოში გამოყენებული ენა რთული და ძნელი გასაგებია რიგითი მოქალაქეებისთვის, უფრო მეტად კი ბავშვებისთვის. ამას თუ დაემატა ისიც, რომ შესაბამისი პროფესიონალები არ არიან მომზადებულნი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით, ან არ არიან ბავშვის მიმართ მეგობრულად განწყობილნი, შეიძლება ეს ფსიქოლოგიური შეზღუდვა აღმოჩნდეს აზრის თავისუფლად გამოხატვისთვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ბავშვებს მიეწოდოთ ინფორმაცია უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათთვის გასაგები ენითა და ფორმით.[3]

* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Okkali v. Turkey, No. 52067/99, პარ. 69.

1 ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა, 2017. გაეროს ბავშვთა ფონდი, გვ. 3.

2 ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ. 2015. განმარტებები. გვ. 17.

3 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა, 2020. თბილისი: გვ. 35.

1. სასამართლო პროცესზე ბავშვის მოსმენისას გასათვალისწინებელი ფსიქოლოგიური ასპექტები

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რატომ ეპყრობა კანონმდებელი არასრულწლოვნებს განსაკუთრებულად, საჭიროა, გავაანალიზოთ არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიური თავისებურებები. არასრულწლოვანთა დანაშაულობა შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ისეთი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების ერთობლიობა, როგორებიცაა: არასრულწლოვანთა ასაკი, მათი სოციალური როლი და სტატუსი, ასევე ფსიქოლოგიური თავისებურებები.[4]

დაბადებიდან არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს და იგი ძალიან მგრძნობიარეა მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატის, ასევე უფროსების ქცევის მიმართ. მაშინაც კი, როდესაც ისინი ვერ გადმოსცემენ სიტყვებით თავის გრძნობებს და აზრებს, მცირეწლოვნები ცდილობენ თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ ფაქტის მიმართ არაპირდაპირ, თავისი ქცევით ან ნახატებით წარმოაჩინონ. ბავშვის დასრულებულ პიროვნებად ჩამოყალიბების გზაზე არც ერთი ასაკი არ ქმნის იმდენ სიძნელეს, როგორც მოზარდობის ასაკი. მოზარდი საკუთარი თავისა და „მე“-ს გამოჩენის მიზნით ხშირად ჩადის ისეთ ქმედებას, რაც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.[5]

ზოგადად, რა არის არასრულწლოვანება? იმანუელ კანტის აზრით, არასრულწლოვანება ნიშნავს უუნარობას, იმოქმედო საკუთარი გონების კარნახით, სხვისი მითითებების გარეშე. „ადამიანის ცხოვრების არც ერთ მონაკვეთში არ ხდება ერთბაშად ისეთი ღრმა, მძაფრი და მრავალმხრივი სულიერი ცვლილებები, როგორც მოზარდობის ასაკისთვისაა დამახასიათებელი და ეს ცვლილებები, თავიანთი ბუნებით ისეთნი არიან, რომ განსაკუთრებულ სიძნელეებს ქმნიან.“[6] სწორედ გარდატეხის პერიოდში მოზარდში მიმდინარე ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების გამო, საუბარია არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებაზე.

დაზარალებული/მოწმე ბავშვისგან მაქსიმალურად სრული და სარწმუნო ჩვენების მისაღებად გამოიყენება NICHD პროტოკოლი. ეს არის აშშ-ის ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ნაციონალური ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული ინსტრუმენტი. ცხადია, ბავშვის დაკითხვის თუ გამოკითხვის არაერთი სხვა კარგი ინსტრუმენტი არსებობს. თუმცა, ამ პროტოკოლის უნიკალურობა იმაში გამოიხატება, რომ იგი მრავალრიცხოვანი მეცნიერული კვლევების საფუძველზე არის შექმნილი.

კვლევების მიზანი იყო ბავშვის მეხსიერების, კომუნიკაციური შესაძლებლობების და სოციალური უნარების დარგში არსებული ცოდნის პრაქტიკულ დირექტივებად ქცევა დაკითხვის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კვლევები ხორციელდებოდა თითქმის ათი წლის განმავლობაში, როგორც პრაქტიკაში, ისე ლაბორატორიულ პირობებში და კვლევის პროცესში თანაბრად იყვნენ ჩართულნი, როგორც მეცნიერ-ფსი-

4 ივანიძე, მ., 2017. „არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები“, „არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა“. (სტატიათა კრებული), თბილისი: გვ. 9.

5 შალიკაშვილი, მ. და გიორგაძე, ა., 2011. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კრიმინოლოგიური თავისებურებები. თბილისი: გვ. 19.

6 ქარუმიძე, ვ. და დარგალი, ე., 1998. „არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება“. თბილისი: გვ. 253.

ქოლოგები, ისე გამოცდილი პრაქტიკოსი დეტექტივები.[7]

კვლევებით რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი საკითხი დადგინდა, რომელთა დაკავშირებითაც აღნიშნულ კვლევებამდე პროფესიონალები ვერ თანხმდებოდნენ, მაგალითად, დადგინდა, რომ:

- ◊ ბავშვს შეუძლია განცდილი მოვლენების დამახსოვრება;
- ◊ ბავშვისგან შესაძლებელია სარწმუნო ინფორმაციის მიღება, ოღონდ ამისთვის საჭიროა ფრთხილი, საგამოძიებო პროცედურები და ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინება;
- ◊ ბავშვის მიერ გადმოცემული ინფორმაციის სანდოობა და სისრულე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დამკითხველის პროფესიონალიზმზე;
- ◊ სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად, დამკითხველმა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა "წააშველოს" ბავშვს ინფორმაცია დაკითხვის პროცესში;
- ◊ დამკითხველმა ღია მიმართვები (მაგალითად, "მომიყევი, რა მოხდა...") უნდა გამოიყენოს, რათა ბავშვმა შეძლოს, რომ მეტი ინფორმაცია გადმოსცეს თხრობით;
- ◊ ბავშვებისგან მიღებული ინფორმაციის ნახევარზე მეტი თავისუფალი გახსენების გზით გამომჟღავნდა (მიუხედავად ასაკისა);
- ◊ თავისუფალი თხრობის მეშვეობით მიღებული ჩვენებები 3-5-ჯერ უფრო ინფორმაციული და უფრო სარწმუნოა, ვიდრე პირდაპირი და დახურული კითხვებით მიღებული ჩვენებები;
- ◊ მცირეწლოვან ბავშვებს თავისუფალი გახსენების გზით შეუძლიათ პასუხი გასცენ გამოძიებისთვის საინტერესო თითქმის ყველა კითხვას;
- ◊ მიმანიშნებელი კითხვები, რომლებიც ისედაც არასასურველია, კიდევ უფრო სარისკო ხდება 6 წლამდე ასაკის ბავშვებთან.

ბრალდებულის მიერ სამართალწარმოების გაგებასაც რამდენიმე კომპონენტი აქვს.

ეს მოიცავს ბრალდების გაგებას და პოტენციური შედეგების გააზრებას; სასამართლო დარბაზის სხვადასხვა მონაწილეთა როლის გაგებას (მაგალითად: მოსამართლე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, პროკურორი, ადვოკატი, მოწმეები); ზოგიერთი ძირითადი კონსტიტუციური უფლებების გაგებას (ე.ი. უდანაშაულო, სანამ დამნაშავეობა არ დამტკიცდება, დუმილის უფლება და ა.შ.). რა მოხდება, თუ არასრულწლოვანი ბრალდებული ვერ გაიგებს ზემოაღნიშნულ პროცესებს მისივე მოუმწიფებლობის გამო? ხშირად სასამართლოში მყოფი არასრულწლოვნების უმეტესობას შეუძლია, გაეცნოს მოსამართლის, პროკურორის, მოწმეების როლს და ა.შ. ისინი საკმარისად უყურებენ ტელევიზორს იმის გასაგებად, თუ რა არის მტკიცებულება და რომ შეეძლებათ „ციხეში" მოხვედრა, თუ მოსამართლე თვლის, რომ ისინი დამნაშავეები არიან. თუმცა, არასრულწლოვან ბრალდებულებს არ შეუძლიათ "ისწავლონ", თუ როგორ უნდა მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილება.[8]

2. ბავშვის უფლება გამოხატოს საკუთარი მოსაზრება და სასამართლო პრაქტიკა

მსხვერპლი და დანაშაულის მოწმე ბავშვების მიმართ მოპყრობის სამართლი-

7 Lamb, M., Herskowitz, I., Orbach, Y. and Esplin, P., 2008. „Tell me what happened, structured investigative interviews of child wictims and witnesses". Washington DC: გვ. 45.

8 Fortunati, F. and oters, 2006. „Juveniles and Competency to Stand Trial". N.Y. გვ. 35-38.

ანობის უზრუნველსაყოფად პროფესიონალებმა და პროცესში ჩართულმა სხვა პირებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ასეთი ბავშვების კეთილდღეობაზე, უნდა შეასრულონ ქვემოთ მოცემული პრინციპები, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო დოკუმენტებში, კერძოდ, ბავშვის უფლებათა კონვენციასა და აისახება ბავშვთა უფლებების კომიტეტის საქმიანობაში: დასაშვებობა – თითოეულ ბავშვს, რომელიც ექვემდებარება ეროვნული სამართლის საპროცესო წესებს, უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში. გადაწყვეტილებებში, რომლებიც გავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე, მათ შორის ნებისმიერ სასამართლო დავაში და მისი მოსაზრებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასაკის, ინტელექტუალური სიმწიფის და განვითარების შესაბამისად.

პროფესიონალებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა მსხვერპლ ბავშვთა უფლებების უზრუნველყოფის მიზნით, მოწმეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ გამოთქვან თავისი მოსაზრებები პროცესის მიმდინარეობისას. აუცილებელია ბავშვის შეხედულებებისა და პრობლემების სათანადო გათვალისწინება და, თუ ამის შესაძლებლობა არ არის, ავუხსნათ ბავშვს შესაბამისი მიზეზები.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სისტემა ფართოდ ცნობს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებას, განურჩევლად იმისა, არიან ისინი არასრულწლოვნები თუ მოზრდილები, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო პროცესის ყველა ეტაპზე, გამოთქვან და გამოხატონ საკუთარი აზრი ყველა იმ საკითხის მიმართ, რომლებიც მათ ინტერესებს ეხება. იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო ამას გამართლებულად მიიჩნევს, ასეთი მოსაზრებები შეიძლება გამოითქვას დაზარალებულთა კანონიერი წარმომადგენლების მიერ, პროცედურისა და მტკიცებულებების შესაბამისად. სამართლიანობა განიხილება, როგორც სასამართლოს პოზიტიური ვალდებულება დაზარალებულთათვის გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, მეორე მხრივ, გააანალიზონ ისინი.[9]

ბავშვის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობა უზრუნველყოფილია რამდენიმე დონეზე: ინფორმაციის მიღება, ინფორმირებული აზრის გამოთქმა, ამ აზრის გათვალისწინება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში წამყვანი ან თანაბარი როლის უზრუნველყოფა.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნდა მოიცავდეს ბავშვის უფლების პატივისცემას, თავისუფლად გამოხატოს თავისი მოსაზრება ყველა საკითხზე, რომელიც მასზე ზეგავლენას ახდენს და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებას. ეს ცალსახად არის ჩამოყალიბებული ბავშვის უფლებათა კომიტეტის #12 ზოგად კომენტარში, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია, აგრეთვე, განუყოფელ კავშირებზე ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-12 მუხლს შორის. ამ ორ ნორმას ურთიერთშემავსებელი როლი აქვს: პირველის მიზანს ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზაცია წარმოადგენს, ხოლო მეორე ადგენს მეთოდოლოგიას ბავშვის ან ბავშვების მოსაზრებების მოსმენისა და მათი ჩართვისათვის ყველა იმ საკითხში, რომლებიც მათ შეეხებათ, მათ შორის, მათი საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის სათანადო გამოყენება ვერ მოხდება, თუ არ დაკმაყოფილდა მე-12 მუხლის

9 საერთაშორისო სისხლის სასამართლო, სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, No. ICC-01/04, გადაწყვეტილება VPRS1, VPRS2, VPRS3 წარმოებაში მონაწილეობის განაცხადების შესახებ VPRS4, VPRS5 და VPRS6 (PT), 2006 წლის 17 იანვარი, პუნქტები 71-72.

მოთხოვნები. მსგავსად ამისა, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი აძლიერებს მე-12 მუხლის ფუნქციურობას, ყურადღებას ამახვილებს რა ბავშვების არსებით როლზე მათ ცხოვრებაზე ზეგავლენის მომხდენი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს, რომ კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს ბავშვის უფლებას, მოუსმინონ პირდაპირ ან წარმომადგენლის საშუალებით ნებისმიერ სასამართლო, ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რომელიც მას შეეხება.[10]

დანაშაულის მსხვერპლს ან მოწმე ბავშვებს ხშირად აქვთ საკუთარი შეხედულება დანაშაულის გარკვეული ელემენტების და საკუთარი ჩვენების მნიშვნელობაზე.

ბავშვს უნდა აუხსნან, რატომ მიიღება კონკრეტული გადაწყვეტილება, რატომ განიხილება ან არ განიხილება გარკვეული ელემენტები და ფაქტები სასამართლო სხდომაზე და რატომ არ არის გათვალისწინებული მისი ინდივიდუალური მოსაზრებები. უნდა მოხდეს იმ ფაქტის ხაზგასმა, რომელსაც ბავშვი მნიშვნელოვნად თვლის (მოვლენების) თავის ვერსიაში, მაგრამ, რომლებიც ყოველთვის არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მტკიცებულება.

ბავშვის შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში, არ არის საყოველთაოდ აღიარებული და მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ არსებობს ასაკობრივი ზღვარი, რომელზეც ბავშვები ვერ გამოთქვამენ თავიანთ აზრს. მცირეწლოვან ბავშვებს შეიძლება სთხოვონ დახატონ ნახაზი, რომელიც ასახავს, თუ როგორ აღიქვამენ ისინი დანაშაულს, საკუთარ თავს ან დამნაშავეს.

ბრალდებულის უფლება, ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა მის სასამართლო პროცესში, გულისხმობს არამხოლოდ დასწრების, არამედ საქმის მოსმენისა და თავლყურის დევნების უფლებასაც.[11] თანამედროვე მიდგომა იქნება იმის გათვალისწინება, შეძლებს თუ არა ბავშვი გაიაზროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზნეობრივი და ფსიქოლოგიური კომპონენტები. მნიშვნელოვანია მისი ასაკის, სიმწიფისა და ინტელექტუალური თუ ემოციური შესაძლებლობების გათვალისწინება იმისათვის, რომ მან სრულად გაიაზროს და სრულყოფილი მონაწილეობა მიღოს სასამართლო პროცედურებში[12], ასევე მნიშვნელოვანია სასამართლო განხილვის იმგავარად ჩატარება, რომ მაქსიმალურად ავიცილოთ თავიდან ბრალდებულის დაშინება და დათრგუნვა. სასამართლომ საქმეზე ს.ქ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ მიიჩნია, რომ როდესაც საქმე ეხებოდა ისეთ ბავშვს, როგორიც მომჩივანია (11 წელი), არსებობს რისკი, რომ იგი ასაკისა და შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო ვერ შეძლებს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ეფექტურად მონაწილეობას, რადგან საქმე განიხილება სისხლის სამართალწარმოების და არა – სხვა პროცედურული ფორმით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის სასიცოცხლო და საზოგადოების ინტერესები. მნიშვნელოვანია, რომ საქმის განხილვა მოხდეს სპეციალიზებულ სასამართლოში, რომელსაც შესწევს უნარი, გაითვალისწინოს ყველა დაბრკოლება, განახორციელოს სწორი მოქმედებები და მოახდინოს პროცედურების საჭიროებისამებრ ადაპტირება.

10 ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნ. წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 02/02/2016, განაცხადი 71776/12.

11 The decision of the European Court, Stanford v. the United Kingdom, 23/02/1994, application 73299/01.

12 The decision of the European Court, Tyrer v. the United Kingdom, 15/03/1978, application 5856/72.

საინტერესოა საქმე „ტ.-სა“ და ვ.-ს გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,[13] სადაც განმცხადებლების „ტ.-სა“ და ვ. – ს მცირე ასაკის (10 წლის) გამო, სასამართლომ იმსჯელა, რომ ბრალდებულს უნდა ჰქონდეს უფლება, გააცნობიეროს რა ხდება სასამართლო პროცესზე, ასევე აქტიურად იყოს ჩართული მისი საქმის სასამართლო განხილვაში, იმ მოცულობით, რაც გამომდინარეობს მისი განვითარებიდან. სასამართლო პროცესზე მხოლოდ ფიზიკურად დასწრება არ არის საკმარისი ამ უფლების განსახორციელებლად. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა ევროკონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლების) დარღვევა, რადგან ტ.-ს და ვ.-ს არ მიეცათ საშუალება, მათი ასაკის შესაბამისად, სრულყოფილად ყოფილიყვნენ ჩართულნი სასამართლო პროცესში.

რაც შეეხება ქართულ სასამართლო პრაქტიკას, როგორც სახალხო დამცველის 2019 წლის ივლისიდან ამავე წლის დეკემბრის ჩათვლით, თბილისის, ქუთაისსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში ჩატარებული სასამართლო განხილვების მონიტორინგის[14] შედეგად გამოიკვეთა, იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვს მოსამართლე არ ეკითხებოდა, ეთანხმებოდა თუ არა იგი ადვოკატის პოზიციას და ჰქონდა თუ არა საკუთარი აზრის დაფიქსირების სურვილი. მნიშვნელოვნია, რომ მოსამართლე აქტიურად იყოს ჩართული სასამართლო პროცესში, იმისათვის, რომ ბავშვის ინტერესები ეფექტურად იყოს დაცული. ამავე მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლე ბავშვს უფლებებს და ბრალს არ უმარტავდა მისთვის გასაგები ენით და იყენებდა რთულ, იურიდიულ ტერმინოლოგიას, რაც, რა თქმა უნდა, აფერხებს ბავშვის ჩართულობას სასამართლო პროცესში და იგი ვერ სარგებლობს სათანადოდ მისთვის მინიჭებული უფლებებით, ამიტომ საჭიროა მოსამართლეთა მომზადების დონის ამაღლებაც.

3. ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში

სასამართლო პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობის უფლება საყოველთაოდ აღიარებული ნორმაა. გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა ან პირდაპირ უნდა უზრუნველყონ ეს უფლება, მიიღონ ამგვარი კანონმდებლობა, ან ცვლილებები შეიტანონ შესაბამის კანონმდებლობაში ისე, რომ ბავშვებმა სრულყოფილად შეძლონ ამ უფლებით სარგებლობა.[15] უფრო მეტიც, ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ ბავშვი იღებს ყველა აუცილებელ ინფორმაციასა და რჩევას, რომელიც მათ ხელს შეუწყობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ბავშვს აქვს უფლება, არ განახორციელოს ეს უფლება, შეხედულების

13 The decision of the European Court, T and V. United Kingdom, 16/12/1999, application 24724/94.

14 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა“, 2020. მომზადებულია ერთობლივად ორგანიზაციასთან – „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020031011495929884.pdf> [წვდომის თარიღი 15 დეკემბერი 2020].

15 გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი. 2013. General Comment No. 14. on the right of the child to have his or her best interest taken as a primary consideration (art.3, para.1), CRC/C/GC/14.

გამოხატვა არჩევანია, და არა – ვალდებულება.[16]

საინტერესოა, როგორ არის განმტკიცებული არასრულწლოვნთა მართლმსაჯულების კოდექსში ბავშვის მონაწილობის, მისი მოსმენისა და საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებები.

თავდაპირველად განვიხილოთ, თუ როგორ არის განმტკიცებული აღნიშნული უფლება ბავშვის უფლებათა კონვენციაში, რომლის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით – „მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად[17]“, საინტერესოა, რა მოიაზრება საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე არასრულწლოვანში? „თუ ბავშვს აქვს უნარი, საკუთარი თვალსაზრისი გონივრულად და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს, გადაწყვეტილების მიმღებმა მისი შეხედულებები უნდა განიხილოს, როგორც საკითხის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი“.[18] როგორ უნდა მოხდეს ასაკისა და მოწიფულობის გათვალისწინებით არასრულწლოვნის შეხედულებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭება? ცხადია, რომ ბავშვის გაგებისა და აღქმის უნარები არ უკავშირდება მხოლოდ მის ბიოლოგიურ ასაკს, მოწიფულობა გულისხმობს, ასევე მათ სოციალურ როლს და სტატუსს, ასევე მთელ რიგ ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.

რაც შეეხება მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის ქმედითი მონაწილეობის უფლებას, იგი გარანტირებულია როგორც უშუალოდ არასრულწლოვნის მიერ, ისე წარმომდგენლის მეშვეობით. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა, მოსმენილი იქნეს ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი, ან წარმომადგენლის, ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით“[19], ამავე შინაარსის მატარებელია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-5 მუხლიც, რომ „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობლების და, შესაბამის შემთხვევებში, გაფართოებული ოჯახის ან თემის წევრების უფლებებსა და მოვალეობებს, რომ სათანადოდ მართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ ბავშვს მის მიერ კონვენციით აღიარებული უფლებების განხორციელებაში და ამას აკეთებდნენ ბავშვის განვითარებადი უნარების შესაბამისად“[20], საინტერესოა, როგორ აისახა აღნიშნული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში? კოდექსის მე-3 მუხლის (ძირითად ტერმინთა განმარტება)

16 ლურსმანაშვილი, ლ., 2015. „ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო“, (თარგმანი), თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 25.

17 მუხლი 12, „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [წვდომის თარიღი 18 დეკემბერი 2020].

18 ჰამილტონი, ქ., 2011. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის მითითებები“. სახელმძღვანელო დოკუმენტი, გვ. 40.

19 მუხლი 12, „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [წვდომის თარიღი 18 დეკემბერი 2020].

20 იქვე. მუხლი 5.

მე-11 და მე-12 ნაწილები განმარტავს კანონიერი წარმომადგენელისა და საპროცესო წარმომადგენლის მნიშვნელობას, ხოლო ამავე კოდექსის მე-10 მუხლის (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობა) პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ან/და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლება. მას აქვს აგრეთვე უფლება, მოუსმინონ და გაითვალისწინონ მისი მოსაზრებები ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად“[21]. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი – „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ადვოკატს უფლება აქვს, არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით, არასრულწლოვნის ნებისგან დამოუკიდებლად შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე, თუ ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს“.[22] რა დადებითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ პირების ჩართულობას არასრულწლოვნისთვის? – სამართლებრივი დახმარების გარეშე, რა თქმა უნდა, ბავშვს გაუჭირდება დამოუკიდებლად გაერკვეს სასამართლო პროცედურებსა და განხილვაში, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი გაუწევს მას სათანადო იურიდიულ კონსულტაციას. ამასთან, არასრულწოვანს შეუძლია მიიღოს რჩევა კანონიერი წარმომადგენლისგანაც და მათი მეშვეობით აქტიურად იყოს ჩართული მისი საქმის სასამართლო განხილვაში, რაც ბევრად ეფექტურს ხდის პროცესში მის მონაწილეობას.

ასევე მნიშვნელოვანია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს არასრულწოვნისა და მისი წარმომადგენლის მოსაზრებების დაბალანსება, რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: „თუ არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის მოთხოვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, უპირატესობა იმ მოთხოვნას ენიჭება, რომელიც მეტად შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს“.[23] აღნიშნულის განსაზღვრა აუცილებელია, მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, თუ რომელი გადაწყვეტილება იქნება საუკეთესო და მნიშვნელოვანი არასრულწლოვნისთვის.

რაც შეეხება ბავშვის უფლებას, იყოს მოსმენილი არასრულწლოვნის დაკავებისას, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, იგი განმტკიცებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომელიც მიუთითებს, რომ „არასრულწლოვანი შეიძლება გამოიკითხოს/დაიკითხოს, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია“.[24] მნიშვნელოვანია, რომ ამავე მუხლის მე-3 ნაწილი არასრულწლოვნის გამოკითხვისას/დაკითხვისას უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მონაწილეობას, რა დროსაც ხელმძღვანელობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებით, ასევე – „თუ არასრულწლოვანი არის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმე ან მსხვე-

21 მუხლი 10, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].
22 იქვე.
23 იქვე.
24 იქვე. მუხლი 52.

რპლი, მისი გამოკითხვისას/დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო ან ვიდეოჩაწერა. სასამართლო სხდომაზე შესაძლებელია არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება)".[25] ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლი დეტალურად ითვალისწინებს იმ პირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს არასრულწლოვნის გამოკითხვისას და დაკითხვისას. აღსანიშნავია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორიც, რომელიც ესწრება საპროცესო მოქმედებას, არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ინფორმირებას სასამართლო პროცესზე, რითაც ხდება არასრულწლოვნისთვის ამ პროცედურების შედეგად მიღებული სტრესის შემსუბუქება.

საინტერესოა, არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვისას, როგორ არის განმტკიცებული ბავშვის უფლება – იყოს მოსმენილი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც სააპელაციო სასამართლოს პირველი ინსტანციის მსგავსად, განაჩენი ზეპირი მოსმენით გამოაქვს, რაც მეტად განამტკიცებს ბავშვის მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის უფლების პრაქტიკულ რეალიზებას. ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო „უზრუნველყოფს, რომ საქმის სასამართლოში განხილვა არასრულწლოვნის აღქმისა და გაგების უნარების შესაბამისად მიმდინარეობდეს",[26] ხოლო მე-2 ნაწილი განმარტავს, რომ „დაუშვებელია არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა მის დაუსწრებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და სხდომის გადადება საქმის გონივრულ ვადაში განხილვას შეუძლებელს გახდის".[27] რაც შეეხება არასრულწლოვნის მიერ ბრალის აღიარების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტას, „სასამართლო სხვა, შესაბამის გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს არასრულწლოვნის აღქმისა და გაგების უნარებს, დაკითხვის ხანგრძლივობას, გაურკვევლობის ან შესაძლო დაპატიმრების შიშს".[28]

ამდენად, მისასალმებელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში მოხდა არასრულწლოვანთა მონაწილეობის მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, აღნიშნულს ემსახურება სწორედ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციაც, თუმცა საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1) ბავშვის მონაწილეობა უნდა იყოს გამჭვირვალე და ინფორმაციული, ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდება – მონაწილეობის პროცესისა და მიზნის შესახებ, უნდა მოხდეს მათთვის გასაგებ ენაზე, ბავშვების გენდერული საკითხებისა და სხვა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რადგან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი ეფექტურია მაშინ, როდესაც ბავშვი ეცნობა პროცედურას, იცის მისი მიზანი და აცნობიერებს პროცესში მისი მონაწილეობის შედეგებს. ამ მიზნით მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს შეეძლოს მიიღოს ინფორმაცია, გამოიყენოს ლექსიკა, რომელიც მისთვის კარგად არის ნაცნობი და გასაგები, მნიშვნელოვანია ენა და ბავშვის სოციალურ-კულტურული ფონის გათვალისწინება. პროცე-

25 იქვე.
26 იქვე მუხლი 56.
27 იქვე.
28 იქვე. მუხლი 57.

დურისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპი უნდა იყოს გამჭვირვალე, რაც საშუალებას მისცემს ბავშვს და მის კანონიერ წარმომადგენელს გააცნობიერონ და გადახედონ გადადგმულ ნაბიჯებს. ტექნიკური ენა და ტერმინოლოგია, სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი კომპლექსური პროცედურები და ფორმალობები ხშირად ურთულებს ბავშვებს სამართლებრივი მდგომარეობის სრულად გააზრებას, რამაც შეიძლება შეამციროს მათი ეფექტურად მონაწილეობის შესაძლებლობა.

2) მსხვერპლი და მოწმე ბავშვის მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი მისი თავისუფალი და შინაარსიანი მონაწილეობით – მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ეს სარგებელი რეალური და ეფექტური იყოს. ამის გადამოწმების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია შესაბამის ბავშვებთან კონსულტაცია. ნებაყოფლობითი მონაწილეობა შეიძლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს, როდესაც ბავშვები შიშობენ, რომ მათი შეხედულების გამოხატვას უარყოფითი გავლენა ექნება, მაგალითად, განსხვავებული აზრის გამოთქმისას.

გ) ბავშვის მონაწილეობისას პატივი უნდა სცენ და სათანადო მნიშვნელობა მიანიჭონ მის შეხედულებას – გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-40 მუხლის თანახმად, ბავშვს, რომელიც აღიარებულია სისხლის სამართლის კანონის დამრღვევად, უფლება აქვს, მოექცნენ მისი ღირსების შეულახავად. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშვის ასაკი და ძირითადი მიზანი, ბავშვის რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

დასკვნა

მართლმსაჯულების სწორი და ეფექტური განხორციელება რჩება სახელმწიფოს მთავარ ამოცანად მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ბავშვის უფლება – იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, პროფესიონალებმა უნდა მოუსმინონ ბავშვებს, რომლებიც ცდილობენ განმარტონ მათი საჭიროებები და მოსაზრებები. ბავშვის შეხედულებების მოსმენა და მათი გათვალისწინება არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების შედეგი აუცილებლად ემთხვევა ბავშვის შეხედულებას.

ბავშვთან კომუნიკაციის სტილი და მეთოდები სათანადოდ უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ინდივიდუალურ პიროვნებას და შესაძლებლობებს. პროფესიონალებს, რომლებსაც ესმით ბავშვის შეხედულებები, საჭიროა ჰქონდეთ შესაბამისი შესაძლებლობები და უნარები. მათ თავიანთი ენა და კომუნიკაციის მეთოდები უნდა მოარგონ ბავშვის განვითარების დონეს; მოამზადონ სწორი გარემო, პირობები და დრო ბავშვის მოსასმენად და დარწმუნდნენ, რომ მას აქვს გააზრებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია, განსახილველი საკითხების მნიშვნელობა და შედეგები.

ბავშვის მოსმენა სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღებისას წარმოადგენს იმ ინტერესის შეფასებისა და განსაზღვრის საფუძველს, რომელსაც ბავშვის საუკეთესო ინტერესი ეწოდება. ამასთან, აუცილებელია სიფრთხილის დაცვა, რათა ბავშვისგან ინფორმაციის მიღების პროცესში მათ მიერ განცდილი სტრესი მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მამესწარაშვილი, ს. და სხვები, 2016. „არასრულწლოვანთა დაკითხვის/გამოკითხვის ფსიქოლოგიური ასპექტები“. შსს აკადემია, სასწავლო მასალა.
2. შაპოვიჩი, ნ., დოეცკი, ი. და ცერმატენი, ჟ., 2012. „ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში“.
3. Lansdown, G., 2011. “every child’s right to be heard – a resource guide on the un committee on the rights of the child general comment no.12”.Unicef.
4. Monica, F., 2014. – The Land mark Rulings of the Intern-American Ciurt of Human Rights of the Child: Protecting the Most Vulnerable at the Edge, Internet Studies in Human Rights, Volume 96.
5. Poole, D. A. and Lamb. M., 1998. “Investigative interviews of children, A guide for halping professionals, Washington DC: American Psychological Association.
6. Segrado, Ch., 2016. „Child rights and Juvenile Justice“, Best practices and lesson learned from Save the Children Italy national and international programs.

ნორმატიული მასალა:

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16> [წვდომის თარიღი: 20 ოქტომბერი 2020].
2. ბავშვის უფლებათა კონვენცია. 1989. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [წვდომის თარიღი: 20 ოქტომბერი 2020].
3. ბავშვის უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N12. ბავშვის მოსმენის უფლება. 2009. CRC / C / GC / 12, გაერო.

სასამართლო პრაქტიკა:

1. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ს. ქ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 15/06/2004, განაცხადი 60958/00.
2. The decision of the European Court, Stanford v. the United Kingdom, 23/02/1994, application 16757/90.
3. The decision of the European Court, Tyrer v. the United Kingdom, 15/03/1978, application 5856/72.
4. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნ. წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 12/01/2016, განაცხადი 71776/12.
5. The decision of the European Court, T and V V. United Kingdom, 16/12/1999, application 24888/94.

Bibliography:

Used Literature:

1. Mamestsarashvili, S. and others 2016. “Psychological Aspects of Juvenile Interrogation / Interrogation”, MIA Academy, study material. (in Georgian)
2. Shapovich, n., Doetsky, I. and Zermaten, Zh., 2012. “The Rights of the Child in International Law”. (in Georgian)
3. Lansdown, G., 2011. “every child’s right to be heard – a resource guide on the un committee on the rights of the child general comment no.12”. Unicef. (in English)
4. Monica, F., 2014. – The Land mark Rulings of the Intern-American Ciurt of Human Rights of the Child: Protecting the Most Vulnerable at the Edge, Internet Studies in Human Rights, Volume 96. (in English)
5. Poole, D. A. and Lamb. M., 1998. “Investigative interviews of children, A guide for halping professionals, Washington DC: American Psychological Association. (in English)

6. Segrado, Ch., 2016. „Child rights and Juvenile Justice“, Best practices and lesson learned from Save the Children Italy national and international programs. (in English)

Normative material:

1. Juvenile Justice Code. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16> [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
2. Convention on the Rights of the Child. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1399901>? publication= 0[Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
3. Committee on the Rights of the Child, General Comment N12. The right to be heard by a child. 2009. CRC / C / GC / 12, UN. (in Georgian)

Judicial practice:

1. The decision of the European Court, S. C. V. The United Kingdom,15/06/2004, application 60958/00. (in Georgian)
2. The decision of the European Court, Stanford v. The United Kingdom, 23/02/1994, application 16757/90. (in English)
3. The decision of the European Court, Tyrer v. the United Kingdom, 15/03/1978, application 5856/72. (in English)
4. The decision of the European Court, so-called And Others v. Georgia, 02/02/2016, application 71776/12. (in Georgian)
5. The decision of the European Court, T and V V. United Kingdom, 16/12/1999, application 24888/94. (in English)

References:

1. Adapted Justice for Children, Legislative Research, 2017. UNICEF. Tbilisi: p. 3. (in Georgian)
2. Council of Europe Guidelines on Juvenile Justice, 2015. Definitions. Tbilisi: p. 17. (in Georgian)
3. Special Report of the Public Defender of Georgia, Protection of the Procedural Rights of Juvenile Defendants, Witnesses and Victims in the Field of Criminal Justice. 2020. Tbilisi: p. 35 (in Georgian)
4. Ivanidze, M., 2017. “Juvenile and its best interests”, “Analysis of juvenile legislation and case law”. (Collection of articles). Tbilisi: p. 9. (in Georgian)
5. Shalikashvili, M. and Giorgadze, A., 2011. Criminological Peculiarities of Juvenile Criminal Liability. Tbilisi: p.253. (in Georgian)
6. Karumidze, V. and Dargali, E., 1998. Juvenile delinquency, crime and justice. Tbilisi. (in Georgian)
7. Lamb, M., Herskowitz, I., Orbach, Y. and Esplin, P., 2008. “Tell me what happened, structured investigative interviews of child wictims and witnesses”. Washington DC: p.45. (in English)
8. Fortunati. F. and others, 2006. „Juveniles and Competency to Stand Trial“: p.35-36. N.Y. (in English)
9. International Criminal Court, Situation in the Democratic Republic of the Congo, no. ICC-01/04, Decision on applications for participation in the production of VPRS1, VPRS2, VPRS3 VPRS4, VPRS5 and VPRS6 (PT), 17 January 2006. paras. (in Georgian)
10. The decision of the European Court, N.Ts. and others v. Georgia, 02/02/2016, application 71776/12. (in Georgian)
11. The decision of the European Court, Stanford v. The United Kingdom, 23/02/1994, application 16757/90. (in English)
12. The decision of the European Court, Tyrer. v the United Kingdom, 15/03/1978, application 5856/72. (in English)
13. The decision of the European Court, T and V V. United Kingdom, 16/12/1999, application 24888/94. (in English)
14. Special Report of the Public Defender of Georgia, “Protection of the Procedural Rights of Juvenile Defendants, Witnesses and Victims in the Field of Criminal Justice”, 2020. Prepared jointly with the organization – “Initiative for Rehabilitation of Vulnerable Groups” [Online] Available at:, https://www.ombudsman.ge/res/docs/2020031011495929884.pdf [Accessed 15 December 2020]. (in Georgian)
15. UN Committee on the Rights of the Child. 2013. General Comment No. 14. on the right of the child to have his or her best interest taken as a primary consideration (art.3, para.1), CRC/C/GC/14. (in Georgian)

16. Lursmanashvili, L., 2015. Handbook of European Law on the Rights of the Child, (translation), Tbilisi: Sulkhan-Saba Orbeliani University Press. p. 25. (in Georgian)
17. Article 12, Convention on the Rights of the Child, 1989, Legislative Herald of Georgia, December 2020. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [Accessed 18 December 2020]. (in Georgian)
18. Hamilton, Q., 2011. "Guidelines for the Legislative Reform of the Juvenile Justice". Guidance document. Tbilisi: p. 40. (in Georgian)
19. Article 12, Convention on the Rights of the Child. [Online] Available at:<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [Accessed 18 December 2020]. (in Georgian)
20. Ibid. Article 5.
21. Article 10, "Juvenile Justice Code". [Online]. Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16>[-Accessed 18 December 2020]. (in Georgian)
22. Ibid.
23. Ibid.
24. Ibid. Article 52.
25. Ibid.
26. Ibid. Article 56.
27. Ibid.
28. Ibid. Article 57.